პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 6 იანვარი 1926 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

3 (998)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია.

მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობამ დაადგინა, რათა ამიერიდან რუსეთის კომუნისტურ პარტიას ეწოდოს სახელად სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია. ამ დადგენილებით პარტიამ ერთხელ კიდევ ხედვად ხაზი გაუსვა თავის ინტერნაციონალურ ბუნებას და ეროვნულ პოლიტიკას, რომელსაც ის ატარებდა და ატარებს ცხოვრებაში.

კომუნისტური პარტია ერთად ერთი პარტია არის, რომელმაც სწორად გადაჭრა ეროვნული საკითხი, დაუკავშირა რა ის პროლეტარულ რევოლუციას. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მოუტანა ნამდვილი თავისუფლება ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ერებს, მხოლოდ მან დაამყარა ნამდვილი კავშირი ამ ერებს შორის და სამუდამოთ უზრუნველყო მათი მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირი საუკეთესო მაგალითია თავისუფალ, დამოუკიდებელ ერების ძმური შემჭიდროებისა, ერთობისა და ურთიერთ თავდადების. ყველივე ეს რუსეთის კომუნისტური პარტიის რევოლიუციონური ბრძოლის და მუშაობის ნაყოფია.

და მას შემდეგ რაც შეიქმნა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირი თავისთავად დაისვა საკითხი რუსეთის კომუნისტური პარტიისათვის ახალი სახელის—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის დარქმევისა.

მაგრამ ახალი სახელი ოდნავ არ სცვლის პარტიის ორგანიზაციულ აგებულებას. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია კვლავ რჩება ერთიან, ცენტრალისტურ, ფოლადისებურ ლენინის პარტიათ. ის ხელმძღვანელია და ბელადია ყველა საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირისა. ამიტომაც მისი სახელიც—სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტია უნდა იყოს.

როგორც ყოველთვის ისე ეხლაც და მომავალშიც სრულიად საკავშირო კომპარტია ლენინის მიერ ნაჩვენებ გზით წაიყვანს საბჭოთა ქვეყნებს ახალ გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის დამყარების საქმეში.

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო კომპარტიას, საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების ერთად ერთ საყვარელ ბელადს და ფოლად ხელმძღვანელს!

## ბულგარეთის ჯალათი გადადგა.

ბულგარეთში გადადგა ცანკოვის მთავრობა. როგორც იქნა ბულგარეთის მუშების და გლეხების ჯალათის სისხლიან ბატონობას მოეღო ბოლო. ძვირად დაუჯდა ბულგარეთის მშრომელ ხალხს ამ ძხეცის მმართველობა. მას შემდეგ, რაც ის ხელისუფლების სათავეში მოვიდა, ბულგარეთის ქვეყანას სიკვდილის შავი აჩრდილი ერთ წუთს არ მოშორებია. ბურჟუაზიის და მემამულეების ერთგულმა მონამ უმაგალითო თეთრი ტერორის ცეცხლი დაანთო ამ ქვეყანაში.

მთელი ბულგარეთი აივსო სახრჩობელებით. ასობით და ათასობით ახრჩობდა, ხვრეტდა, წამებდა ცანკოვი მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს. ჯალათის ხელი არ ინდობდა არავის, ვინც ოდნავ შემჩნეული იქნებოდა მთავრობის საწინააღმდეგო მოღვაწეობაში. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ცანკოვმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის რიგებს.

ბევრი საუკეთესო წევრები კომპარტიისა წამებულ და მოკლული იქმნა მის მიერ. ორ წელზე მეტი იბატონა ასე ცანკოვმა.

ამ ხნის განმავლობაში არ იყო ისეთი დღე, რომ სახრჩობელაზე არ ეკიდნათ რომელიმე რევოლიუციონერი, არ დაერბიათ მუშური ან გლეხური ორგანიზაცია, არ გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი მშრომელი ხალხის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლისათვის. ცხადია დიდხანს ეს ქვეყანა ვერ აიტანდა მტარვალის უპასუხისმგებლო თარეშს. ცანკოვი გადადგა არა თავის ნებით.

ის აიძულეს გადამდგარიყო. მას ზურგი შეუქცია იმათმაც, ვინც ერთ დროს მას მხარს უჭერდა. ბულგარეთის ბურჟუაზია, რომელმაც ცანკოვის საშუალებით გაამაგრა თავისი კლასობრივი ბატონობა, დღეს არ საჭიროებს მასში.

ბულგარეთის მყვლეფელებმა შეიგნეს, რომ ცანკოვის რეჟიმს უკვე ველარ ითმენენ მოსახლეობის ფართე ფენები, რომ მისი ბატონობის გაგრძელება ნიშნავდა ხალხის ახალი მღელვარებების დაწყებას, და აი ცანკოვი წავიდა. მისი ადგილი დაიჭირა ბურჟუაზიის უფრო მემარცხენე წარმომადგენელმა. მაგრამ ბურჟუაზიის მემარჯვენე და მემარცხენე პირი—არსებითად ერთი და იგივეა—ორივე ბურჟუაზიის ბატონობას ემსახურება. ასე რომ ცანკოვის წასვლა და ვილაც ლიაპჩევის სათავეში მოქცევა სრულიად არ ნიშნავს არსებული რეჟიმის ძირიანად შეცვლას.

ბულგარეთის სოციალ-გამყიდველები, რომლებიც გულმოდგინეთ ემსახურებოდენ ცანკოვს, ეხლა ისეთივე ერთგულებით გაუწევენ სამსახურს ახალ ბურჟუაზიულ მთავრობასაც. ლაქიობა—ეს ხომ სოციალ-დემოკრატიის ხელობაა.

მაგრამ ასე თუ ისე ცანკოვის გადადგომა მაინც დიდი მნიშვნელობის მოვლენა არის. ის ნიშნავს ფაშისტური დიქტატურის დასასრულის დაწყებას. ბულგარეთის მუშების და გლეხების ისტორიულ ამოცანას შეადგენს კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ დაახქარონ ეს დასასრული და მით სამუდამოთ ბოლო მოუღონ ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობას თავის ქვეყანაში.

—ბ.

# ახალი რადიო-ამბები

## ბულგარეთის ახალი მთავრობა

### ერთი წავა და სხვა მოვა...

გადადგა ცანკოვის მთავრობა.

ახალი მთავრობის შედგენა მიენდო მთავრობის უმრავლესობის ბელადს ლიაპჩევს. ახალ მთავრობაში შევლენ: საგარეო საქმეთა მინისტრად—მაჯაროვი და ფინანსთა მინისტრად—ბუროვი. მაჯაროვი ომამდი იყო ბულგარეთის რწმუნებული პეტროგრადში (ლენინგრადში). ბუროვი მსხვილი ფაბრიკანტია. ახალი მთავრობის პოლიტიკაც ისეთივე იქნება, როგორც ძველის, ვინაიდან მასში შედის მსხვილი კაპიტალისა და კონტრევოლიუციონური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

## სამხედრო დიქტატურა საბერძნეთში

საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პანგალოსმა გამოაცხადა სამხედრო დიქტატურა. პანგალოსმა სასტიკად გააკრიტიკა მთავრობის გარშემო შემოკრებილ პოლიტიკურ პარტიების მოქმედება.

პანგალოს გადაწყვეტილი აქვს ძლიერი არმიისა და ფლოტის შექმნა.

როგორც ათინის ტელეგრ. სააგენტო იტყობინება, პანგალოს მხარს უჭერს ოფიცრობა და რესპუბლიკანური გვარდია.

## კულტურულ კავშირის საზოგადოება.

მონრეალში (კანადაში) შესდგა საზოგადოება, რომლის მიზანია კულტურული კავშირის გაბმა და გაძლიერება საბჭოთა კავშირსა და კანადას შორის.

# საბჭოთა კავშირში

## დეპეშის გასაგზავნი ფასის გადიდება.

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1926 წლის 1-ლ იანვრიდან გადიდებულ იქნას დეპეშების გაგზავნის ფასი 7 კაპიკამდის სიტყვა.

## ჩელიაბინსკის ოქროს მადნის გამოკვლევა.

გეოლოგიურმა კომიტეტმა გამოიკვლია ძველი, მივიწყებული ჩელიაბინსკის ოქროს მადნები, ჩელიაბინსკიდან 7 კილომეტრის მოშორებით.

6 კილომეტრის სივრცეზე იმყოფება 30 მეტი მსხვილი ოქროს ძარღვი 60-დან 300 მეტრამდე. შიგადაშიგ ურევია მაღალი ხარისხის ოქროს ნაჭრებიც.

# საქართველოში.

## მანუფაქტურა სოფლისთვის.

ახალციხის მომხმარებელ საზოგადოებამ უკანასკნელ ხანებში მიიღო დიდძალი მანუფაქტურა, რომლითაც დაუბრკოლებლად შეიძლება წევრთა დაკმაყოფილება.

## აგრონომიული დახმარება ზემო სვანეთს.

სოფელ ლახამულის გლეხობის ყრილობაზე დადგენილ იქნა: მიღებულ იქნას ზომები სვანეთის ბუნების შესასწავლად, შექნან რაიონების შუა ადგილებში საცდელი მინდვრები, მოიწვიონ ინსტრუქტორები, გააცნონ გლეხებს გაუმჯობესებელი იარაღები და სხვა.

ლახამულის მაზრა მდიდარია ბუნებით. აქ მოდის „ალექსანდროულის“-ს ყურძენი. მეფუტკრეობასაც კარგი ნიადაგი აქვს. აქ კაკლის ხეების მთელი ტყეები შეგხვდება. ვენახი და ხეხილები თავისუფლივ არიან სხვადასხვა სენისაგან და დიდ მოსავალსაც იძლევიან. საჭიროა ინსტრუქციის მიწოდება გლეხობაზე, რომელიც ვერ იჩენს საკმაო თაოსნობას სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებულ საშუალებებზე გადასვლის საქმეში.

## ახალქალაქის მომხმარებელ საზოგადოებაში.

შესდგა ახალქალაქის მომხმარებელ საზოგადოების რწმუნებულთა საერთო კრება. კრებამ დაავალა ახალ გამგეობას: განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გლეხების, განსაკუთრებით, ქალების მიზიდვას კოოპერატივის წევრებად; მოაგვარონ ნავთის მოტანისა და მოსახლეობაში განაწილების საქმე და სხვა. კრებას დაესწრო მრავალი დელეგატი ქალი, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ საქმეების გარჩევაში. გლეხობა დიდად დაინტერესებულია კოოპერაციით.

## საარჩევნო კამპანია

მთელი ახალქალაქის მაზრაში დასრულდა საარჩევნო სიების შედგენა. თემის აღმასკომების კომისიების მდივნებმა მიიღეს ინსტრუქციები სტატისტიკური ანგარიშების წესების შესახებ ხელახალი არჩევნების დროს.

## გადასახადების აკრება წარმატებით მიდის.

სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრების საქმე უკანასკნელ დროს გამოცხოველდა

30 დეკემბრისთვის ახალქალაქის მაზრაში შეკრებილ იქნა 37.900 მანეთი, ე. ი. 42 პროც. გადასახადის მთელი რაოდენობის.

შორაპნის მაზრაში შემოვიდა 30.394 მანეთი ე. ი. მთელი გადასახადის 79 პროც. გადასახადისაგან გათავისუფლებულია 6.175 მეურნეობა, რომელსაც წილად ხვდებოდა 5.700 მანეთის გადახდა.

## ოზურგეთის ჩაის პლანტაცია.

მიმდინარე წელში განზრახულია ოზურგეთის სახაზინო ჩაის მოედნის გაფართოება. ამ ჟამად ჩაის უკავია 16 დესეტინიდან სულ 3 ნახ. დესეტინა.

## ურთიერთ დამხმარე საკრედიტო საზოგადოება

ოზურგეთში ნებადართულ იქნა ურთიერთ დამხმარე საკრედიტო ამხანაგობის დაარსება. საზოგადოება მუშაობას დაიწყებს ახლო დღეებში.

## შიო არაგვისპირელი.

ორ იანვარს ტფილისში გარდაიცვალა ბელეტრისტი შიო არაგვისპირელი (დედაბრიშვილი). არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ეკუთვნის იმ დროს, როცა მთელი რუსეთის სივრცეზე ფართედ გაეშალა თავისი ბნელი ფრთები რომანოვების ორთავიან არწივს, როცა ამ ფრთების ჩრდილით შებურული იყო მშრომელთა მზე, როცა ძნელი იყო თავისუფალი სიტყვის თქმა, როცა ასობით და ათასობით თავის მიწა-წყალს მოწყვეტილი ადამიანები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ლევდენ საკატორღო ციხეებსა და ყინულიან ციმბირში. ძნელი იყო ამ პირობებში ცხოვრება, მაგრამ უფრო ძნელი იყო ამ ცხოვრების აღწერა და მის შესახებ სიმართლის თქმა: აქ იყო, თუ მეტი არა, საეჭველი, ტანჯვა წამებით მოცული გზა ციმბირისაკენ.

და ასეთ პირობებში ჩაგრულთა გამოსარჩელება და მისი ჭირვარამის შესახებ ხმის ამაღლება შეეძლო მხოლოდ ადამიანს, რომლის კეთილშობილ მკერდში ძგერდა მაღალი გრძნობებით გამთბარი გული, ადამიანს, რომელიც მთელი სიმძაფრით გრძნობდა ჩაგრულთა ვარამსა და ტკივილებს. და ასეთი ადამიანი იყო შიო არაგვისპირელი, სპეციალობით ვეტერინარი და იმავ დროს დიდი ფსიქოლოგი, ადამიანის ღრმა გულთამხილავი... ვისაც წაუკითხავს მისი პატარა მოთხრობა „მიწაა“, არ შეიძლება აწარედ არ შეკუმშოდეს გული, არ ეგრძნოს ღრმა ტკივილები და განეცადოს უსაზღვრო აღშფოთება მეფის მოხელეების იმ ჯალათურ საქციელის გამო, რომელიც დიდის ხელოვნებით აქვს აქ ავტორს გადმოცემული.

ბევრი ღრმა ხელოვნებით აღბეჭდილი მოთხრობა შესძინა არაგვისპირელმა ქართულ ლიტერატურას, მაგრამ ბევრიც დაუწერელი წაიღო თან საფ-



ლავში, ამათ რიცხვში ალბათ ისეთებიც, როგორიცაა მისი, ბოლო დროს დაწერილი მოთხრობა და უსათუოდ უტყუარი ნიჭის ნაყოფი—„გაბზარული გული“. 90-იან წლების, ჩაგრულთა გულის მესაიდუმლეთა რიგებს კვლავ გამოაკლდა ერთი მებრძოლი მწერალი. მოკვდა იმ დროს, როცა მისი კალამი გათავისუფლდა ღრმა ყოველდღიურ ტკივილების აღწერისაგან და როცა ის სხვა ხმაზე უნდა ამეტყველებულიყო.

აღარ გვყავს შიო. მის გაცივებულ გვამს დინჯი სევდით ელოდება შუბლდალარული მთაწმინდა, რომ სამუდამოდ ჩაიკრას ის გულში.

— X.

წაიკითხეთ არაგვისპირელის შემდეგი მოთხრობები: „მიწაა“, „ჩემო შვინდავ“, „ბოჩა, რადა მკლავ“, „ღირსი ვარ ამისი, ღირსი“ და სხვა.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### ქართ. მეთაურთა შეერთებული სკოლაში.

1925 წ. ოქტომბერს არჩეულ იქნა სკოლის პირველი კომუჯრედის ბიუროს შემადგენლობა. დღიდან არჩევისა ბიურო შეუდგა თავის საქმიანობას. უპირველეს ყოვლისა გამოიმუშავა მომავალი მუშაობის გეგმა და შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. ამასთანავე ერთად გამოჰყო ამხანაგები, რომელთაც დაევალათ მუშაობა სხვა და სხვა დარგში. ბიურომ მთავარი ყურადღება მიაქცია, ლენინის კუთხის მოწყობას და მის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. ის უწევდა მას სათანადო ხელმძღვანელობას, ჩაბმულ იქმნა მუშაობაში მთელი ასეულის შედგენილობა. განსაკუთრებით უპარტიოთა შორის მუშაობაში გამოყენებული იქმნა ლენინის კუთხე, სადაც ეწყობა საუბრები სხვა და სხვა თემაზე. ლენინის კუთხის მუშაობამ შესძლო მთელი ასეულის შემადგენლობის დაპყრობა და ჩაბმა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში, აგრეთვე შესძლო უპარტიო ამხანაგების გააქტივება, რის შემდეგაც ფართო ხასიათს ღებულობს პარტიაში ლტოლვა. ასეულის მთელი შემადგენლობის ოთხმოცდა თხუთმეტი პროცენტი ირიცხება პარტიის წევრებათ, კანდიდატებათ და კომ-კავშირის წევრებად. დანარჩენი ხუთი პროცენტი ემზადება პოლიტიკურად პარტიაში შესვლისთვის.

ბიურომ აგრეთვე მიაქცია მთავარი ყურადღება პარტ-აღზრდის საკითხს. ამ მიზნით მან გააცხოველა მუშაობა პარტიის წევრთა და კანდიდატთა შორის. დაარსებულ იქნა სკოლის მასშტაბით პარტ-სკოლა, სადაც სწარმოებს გაცხოველებული მეცადინეობა.

მუშაობა სწარმოებს კომკავშირის წევრთა შორისაც, რომელთაც ბიურო უწევს სათანადო ხელმძღვანელობას და იზიდავს მათ აქტიურ მუშაობაში.

აღდგენილ იქნა კავშირი მბეჭდავთა უჯრედთან. მათზე მიმაგრებულ იქნა უჯრედის წევრი სამუშაოდ. ორივე მხრივ კავშირი აღდგენილია და ვეკონობით ერთიმეორეს საქმიანობას. ჩვენი სკოლის მიერ იქნა მოწყობილი მბეჭდავთა უჯრედის ლენ-კუთხეში სამხედრო კუთხე, რომელიც ყოველგვარ მუშაობას ატარებს მუშათა შორის. ამ უჯრედიდან ვიწვევთ სკოლაში ამხანაგებს, რომლებიც ჩვენთან ერთად გადიან სროლის პრაქტიკულ ვარჯიშობას. ახლო მომავალში მიზნათ გვაქვს დასახული გაუგზავნოთ კარგათ მომზადებული ამხანაგი, რომელიც შეასწავლის მათ სროლის საქმეს. გვაქვს კავშირი აგრეთვე სოფელ წყნეთთან. გამოყოფილია ამხ., რომელიც აწარმოებს მუშაობას, მაგრამ ძალიან ცუდ პირობებში უხდება მას მუშაობა, ვინაიდან იქ არ არსებობს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული უჯრედი და ამისათვის ვერ შესძლო ჩვენმა მიმაგრებულმა ამხანაგმა მუშაობის სათანადო ნიადაგზე დაყენება.

ჩვენი სკოლა საშეფო სოფელს—წყნეთს სისტემატიურად აწვდის გაზეთებს, მიდიან ჩვენი დრამ-წრის წევრები იქ და მართავენ წარმოდგენებს. ძლიერ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ადგ. პარტ. და კომკავშირის მუშაობა არის ძლიერ სუსტი, რასაც სათანადო ორგანოებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

პარტკორი ფარქოსაძე.

## სამხედრო საქმე.

## შეისწავლე გრანატა.

### გრანატის ტყორცნის სხვადასხვა ხერხი.

გრანატის მტყორცნელმა რაც შეიძლება შორს და სწრაფად უნდა გასტყორცნოს გრანატა ერთი-მეორეზე და მარჯვედ მოახვედროს მიზანში.

მსროლელი რომ გრანატის კარგი მტყორცნელი გახდეს, საჭიროა იცოდეს გრანატის ტყორცნის ყველა ხერხი.

იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია მსროლელი, გრანატის გატყორცნა შეიძლება ადგომით, დაჩოქებით, დაწოლით ან სირბილის დროს. პირველი ხერხი—გატყორცნა ნიდაყვის მოძრაობით. მეორე—გაქნევით, მესამე—გამართული ხელით.

გრანატის ტყორცნა ფეხზე დგომით შეიძლება სამივე ხერხით. დაჩოქით შეიძლება პირველი ორი ხერხით, ხოლო წოლით შეიძლება გრანატის გატყორცნა გაწვდილი ხელით.

პირველი სახით გრანატის სროლა მდგომარეობს იმაში, რომ გასროლის მთელი გაქანება სწარმოებს მთელი სხეულით. ჯერ უნდა დაიქნიო მარჯვენა ხელი და იმავე დროს მარჯვენა ფეხი უკან წაიღო, ხოლო შემდეგ ძლიერ უნდა გააქანო მარჯვენა ხელი წინ და იმავ დროს მარჯვენა ფეხი სწრაფად უნდა გადგა წინ. ამ სახით გრანატის (1914 წ. ს ხის რუსული გრანატა) გატყორცნა შეიძლება 20—25 მეტრამდი.

მეორე ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელი ს რცნის გრანატას მარჯვენა ლით მაღლა და წინ. ამ შ თხვევაში გატყორცნის ძალ მდგომარეობს იმ ბიძგში, რო მელსაც იძლევა მარჯვენა ხე ლი. მარჯვენა ფეხი წინ გადიიდგმება და რჩება უკან. ხერხით გატყორცნა იძლე კარგ შედეგებს, ითხოვს დ სივრცეს გაქნევისთვის და მა ჯვენა ხელის მუდმივ ვარჯიშ

მესამე ხერხი უმთავრესა იხმარება დაწოლით ან სირბი ლში გატყორცნის დროს.

ამ შემთხვევაში ხელი ჩვე ლებრივად წაიღება უკან, შე დეგ მაღლა და წინ.

თუ რომ გრანატის ტყორ ცნა სანგრიდან ხდება, ამ შ შემთხვევაში მარჯვენა ხელი წ იღება განზე, ახოის სიმაღლეზ

ყველა ეს ხერხი კარგია იძლევა საშვალებას სწორად და შორს გატყორცნოს გრ ნატა იმ შემთხვევაში, თუ რო მსროლელს კარგი გავარჯიშ ბული აქვს ხელი.

## შეისწავლე ტყვიამფრქვევი.

### ტყვიამფრქვევი ქვეითი ჯარის მთავარი ძალაა

ყოველი ბრძოლა შესდგება ცეცხლის შეჯიბრისაგან, ხოლო შემდეგ ხიშტით კვეთებისაგან.

დაზგის ტყვიამფრქვევი არის იარაღი, რომელიც თან ახლავს ამა თუ იმ ნაწილს და თავისი განუწყვეტელი ცეცხლით მუსრავს მტრის ცოცხალ ძალებს, რომლებიც ხელს უშლიან ნაწილის წინსვლას.

გარდა ამისა დაზგის ტყვიამფრქვევი თავისი განუწყვეტელი ცეცხლით იფარავს ნაწილს მოპირდაპირის ცეცხლისაგან და ამაგრებს ჯარის ნაწილის მიერ დაკავებულ ზღვარსა და სივრცეს.

რაც შეეხება მტრის განადგურებას, როცა ჯარის ნაწილი დაზგის, ხელის ტყვიამფრქვევისა და აგრეთვე შაშხანის ცეცხლის მფარველობის ქვეშ მიაღწევს მტერთან 100-300 მეტრის მანძილზე, იმ შემთხვევაში დაზგის ტყვიამფრქვევს მუშაობა გამოიხატება მტრის რეზერვზე დაშენასა და მეზობელ ნაწილებზე დახმარებაში.

„მაქსიმის“ სისტემის ტყვიამფრქვევი არ არის ცალკეული ცეცხლის იარაღი. ეს არის ჯგუფური ცეცხლის იარაღი.

მისი დანიშნულებაა არა ცალკე ტყვიებით სროლა, რო გორც შაშხანიდან, ხშირი ცეცხლით, რომელი უნდა გასწიოს 40-50 მსროლე ლის მაგივრობა.

დაზგის ტყვიამფრქვევის სი ძლიერე და სიმარჯვე ხდის მ მსროლელთა ბრძოლის საშუ ვლად და დასაყრდნობ ძალა დაზგის ტყვიამფრქვევის ცე ხლის წარმატებაზე დამოკიდე ბულია ჯარის ნაწილის საბრ ძოლო წარმატება.

ამიტომ დაზგის ტყვიამფრ ქვევით სარგებლობა გონივრუ ლი უნდა იყოს.

საჭიროა მისი კარგად ცოდ ნა და მისი დაბრკოლებების (ჯიუტობის) შესწავლა. საჭი როა გაუფრთხილდე მას რო გორც ყოველ სხვა მანქანას არ უნდა დააჭუჭყიანო და ყუ რადღებით უნდა მოეპყრა. ბოლოს უნდა შეგეძლოს მის ხმარება ისე, რომ სროლ დროს ვაზნა არ გაეჩხიროს მოქმედება არ შესწყვიტოს.

ყოველივე ამის მიღწევა შე იძლება ტყვიამფრქვევის კარგ შესწავლით, რაც ამჟამად გუ ხოველებით სწარმოებს ყველ ნაწილებში.

ი. ბ.

## უცხო სიტყვების ახსნა

**აგრონომია**—მეცნიერება სასოფლო მეურნეობის შესახებ.

**გეოლოგია**—მეცნიერება დედამიწის აგებულობასა, შემადგ ლობასა და განვითარებაზე.

**კილომეტრი**—დაახლოვებით ერთი ვერსი.

**დიქტატურა**—მბრძანებლობა, განუსაზღვრელი უფლება.

**პოლიტიკა**—მთავრობის, პარტიების ან ჯგუფების მოქმედ ბის ხაზი ერთგვარი მიზნების მისაღწევად საზოგ დოებრივ ცხოვრებაში.

**სტატისტიკა**—1) მეცნიერება, რომელიც სწავლობს მასი მოვლენებს ციფრობრივი ანგარიშის მიხედვით; ციფრები რაიმე მოვლენის შესახებ.

## ჯარის ნაწილების შეჯიბრი საჭმლის მომზადებაში.

კავკასიის წითელ-დროშოვან ლაშქრის ღმი წ. წ. № 372 ბრძანების თანახმად, თბილისის გარნიზონის უფროსის მიერ დანიშნულია კომისია, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენათ წარმატებით მიმდინარეობს თბილისში დაბანაკებული ჯარის ნაწილებში საჭმლის ხარშვა და რა შედეგები მოიტანა ამან.

ეს კომისია უკვე ორი კვირაა რაც შეუდგა თავის მუშაობას და ნაწილების დათვალიერების დროს იგი აქცევს უმთავრეს ყურადღებას შემდეგს: არის თუ არა დაცული სისუფთავე სამზარეულოში, სურსათ სანოვაგის საწყობში, სასადილოში; რამდენადაა მომზადებული თავის საქმისთვის მზარეული; როგორ სწარმოებს სამზარეულოში მორიგეების მიერ სანოვაგის მიღება; რა პირობებში მზადდება სადილ-ვახშამი და რამდენი ჯდება იგი (ე. ი. კმაყოფილდება ერთეული ხაზინიდან მიღებულ დღიურ კერძის ხარჩოს ფულით 15,48 კაპ. რაოდენობით თვითეულ წითელ არმიელზე, თუ ხარჯავს ან ნაკლებს, ან ზედმეტს? უკანასკნელ შემთხვევაში, რომელი წყაროებიდან); რა გემოსია ერთეულში მომზადებული სადილვახშამი, როგორ მოსწონთ ეს წითელ არმიელებს და არიან თუ არა ისინი სულ მუდამ მაძღარნი; რა წესით რიგდება პური, სადილი და ვახშამი; რამდენათაა დაცული საჭმლის სხვადასხვაობა მთელი კვირის სადილ-ვახშმის განწესრიგებაში (раскладка); მზადდება თუ არა ყოველ-დღიურათ სადილი ორი თავისაგან და ვახშამიც; შესაძლებელია თუ არა ზოგიერთ ჯარის ნაწილებში უფრო უკეთესათ იყოს დაყენებული ჭამა-სმის საკითხი, რამდენია ერთეულში საძმო თანხები და სხვა.

კომისიამ უკვე დაათვალიერა ბევრი ჯარის ნაწილი და თავის დასკვნის გამოსაყვანათ ადარებს ერთ ჯარის ნაწილს მეორეს (გარდა თბილისში არსებულ ხუთ სამხედრო სკოლისა, რომლებიც უნდა შეეჯიბრონ ერთი-მეორეს).

ბევრი, ძლიერ ბევრი ნაკლულევანებანია კომისიის მიერ აღმოჩენილი ამ დათვალიერების დროს. ეს ნაკლულევანებანი ორ ნაირია: ერთი რომლის თავიდან აცილება მარტო ერთეულის ცდაზე არაა დამოკიდებული როგორც მაგალითად სამზარეულოს და სასადილოს სივიწროვე შენობების შეუფერებლობის გამო და სხვა, და მეორე—ის ნაკლულევანებანი, რომელნიც გამომომდინარეობს ამა თუ იმ პირის დაუდევრობისა და უთაობისგან. მიდიხარ ზოგიერთ ჯარის ნაწილში და ხედავ ქვაბები არაა სუფთად გარეცხილი; იქ მზარეულის ხალათი გდია, მისი შალვარი და წაღები, სამზარეულო დასაგავია, მზარეულს და სამზარეულოში მომუშავე წითელ არმიელებს არა აქვთ გულსაფრები, ზოგ ალაგას თუ აქვთ, ან ძლიერ ჭუჭყიანია, ან კიდევ სრულებით არ იფარებენ ამას; ფანჯარაში ყრია ტყემლის ტყლაპები, მწვანილი, ელექტრონის სანათურები, პურის ნატეხები და სხვა, სანოვაგეს ღებულობს მეკუჭნავიდან არა მორიგე, არამედ მზარეული, უშუალოდ. გაფცქვნილ კარტოფილს ყრიან არა კასრში—წყალში, არამედ ტომარში, რის გამო ის უკვე გაშავებულია; შედიხარ სასადილოში—ერთ კუთხეში ნაგავია დაგროვილი, მეორეში—ხედავ სადილ-ვახშმის ნარჩენით სავსე კასრს, რომელიც უკვე დუღს.

როდესაც ეკითხები, რათაა ეს კასრი აქაო, გიპასუხებენ: ეს ღორებისათვისაა მოგროვილიო. ზოგან მაგიდები გადასაწმენდია, მაგიდების ქვეშ ხახვის ნაფცქვენი და პურის ნამტვრევები ყრია.

(გაგრძელება იქნება)

ნ. შანშიაშვილი.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ...არმიისა და ფლოტის სახლის ერთი წლის თავი.

31 დეკემბერს წითელ არ... და ფლოტის სახლს შეუს...ლდა ერთი წელი თავის ...ბობის დღიდან.

...აღნიშნულ დღეს დილიდანვე ...სასწაულო მზადებაა არ... სახლში; ყველანი მოე... მოუთმენლად მოპატიჟე... სტუმრებს.

...ღამის 7 საათია! არმიის ...ი ივსება წითელ არმიელე... და უფპოლიტ შემადგენ...ბით. 8 საათზე თეატრში ...ქტაკლის დაწყების წინ პო...სამმართველოს წარმომად...ელ ამხ. ბარბარინსკიმ და ... არმიის სახლის ქართულ სე...ის გამგე ამხ. პანტურიშვი... გააკეთეს მოხსენებები, პირველმა რუსულად და მეორემ ქართულ ენაზე. ამხანაგებმა აღნიშნეს არმიის სახლის არსებობის მნიშვნელობა და მისი მოღვაწეობა ერთი წლის განმავლობაში.

მოხსენებების შემდეგ გაშვებულ იქნა სპექტაკლი ამავე სახლის „ლურჯ ხალათების“ („რემტი“) მიერ.

კინოში მ დიოდა რვა განყოფილებიანი რევოლიუციონური დრამა „შეჯახების ნამსხვრევები“ (ემიგრანტების ცხოვრებიდან).

დამსწრე საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა საზეიმო სალამოთი.

დაგო.

## ჩვენი საქმიანობა არდადეგებში.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

...სკოლამ პირველ იანვრიდან ...წყვიტა მეცადინეობა ორი ...რით. მრავალი კურსანტები ...ვებული იქნენ თავთავიანთ ...ილებში მოკლე ვადიან შვე...ლებაში, სპეციალური დავა...ებით. ამხანაგებმა აქვე ...იდენ თუ რისთვის უნდა ...ქვით სოფლად უმთავრესი ...რადღება, რა ინტერესებს ...ებს და როგორი პასუხი ...ა გასცენ მათ თითეულ ...ითხვას.

...ყველა ამას კარგად გრძნო... ამხანაგები და არდადე...ს მოახლოებასთან ერთად ...ო და უფრო დაეწაფნენ ...ადინეობას, ჟურნალ-გაზე...ის კითხვას და მეტი ყუ...ღებით ეცნობოდენ ყველა ...ტერესო საკითხებს და ჩვე... რესპუბლიკის მდგომარეო... კაპიტალისტური ქვეყნე... საქციელს მათი კოლონიე... წინააღმდეგ; თუ რად ხდე...ამ დამონებულ ხალხებს ...ნყება კაპიტალისტური სა...მწიფოების წინააღმდეგ და ...ა.

ამას გარდა კურსანტებს დაევალათ ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობის მიმდინარეობის გამორკვევა, როგორიც არიან: კომეჯრედი, აღმასკომი, საბჭო, თემკომი, გლეხკომი, კოოპერატივი და ქოხ-სამკითხველოები. ყველა ამათ მუშაობის შესახებ დაწვრილებითი მოხსენებებით უნდა წარსდგენ სკოლის წინაშე.

მეორე მხრივ არც სკოლაში დარჩენილი კურსანტები რჩებიან უსაქმოდ. ისინი მიემგზავრებიან აღერბეიჯანში სანადიროდ, რომლის დროს ეცნობიან სხვა და სხვა ადგილმდებარეობას ძიების მიზნით, აწარმოებენ ტაქტიკურ მუშაობას ნადირობის დროსვე და სხვა.

საერთოდ სკოლამ დასვენების დრო გამოიყენა არა ნაკლები მნიშვნელობის საქმისათვის, რასაც იმედია წარმატებით ჩაატარებენ ჩვენი კურსანტები.

სამხკორი ჩიტიაშვილი.

## ...როგორ ვატარებთ პოლიტსაუბრებს.

**2-რე ლეგიონი.**

...ლიტმეცადინეობას არმიელე...ნ ვატარებთ კომპლექსიური ...ოდით, რომელიც ძლიერ ...ვილებს მათ საუბრის შეთ...ებას.

...ყველა ასეულები დაყოფი... ცალ-ცალკე ჯგუფებათ ...ელ არმიელების ცოდნის მიხედვით, რომლებთანაც ...ტემატიურად ატარებენ მე...დინეობას მწყობრის თავები, ...მლებსაც ცოტა არ იყოს ...ელებათ ამ მეთოდით მუშა...ა, ჯერ ერთი გამოუცდელო...ა და მეორეც ძლიერ დატ...რთული არიან სამხედრო მე...დინეობით. ამიტომ ისინი ...საფერად ვერ ამუშავებენ თე...ს.

...ლეგიონში სწარმოებს აგრე...ვე საინსტრუქტორო მეცადი...ობა ყველა ჯგუფების ხელმ...ძღვანელებთან კვირაში ერთ...ელ.

თითეულ ხელმძღვანელსა და პოლიტხელს ეძლევა თითო თემა, რომელსაც წინასწარ ამუშავებენ და მოაქვთ კონსპექტი, რომელიც საერთო განხილვის შემდეგ უკან უბრუნდება ამხანაგებს ჯგუფებში ჩასატარებლად. მეორე მხრივ, ამხანაგებს ეძლევათ მასალები სხვა თემისათვის, და ამნაირად უადვილდებათ მუშაობა.

კვირაში ერთხელ ტარდება სანიმუშო გაკვეთილი, რომელსაც ვალდებული არიან დაესწრონ ყველა ჯგუფის ხელმძღვანელები.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეულებში ტეხნიკური მხარეების მოგვარებას, რომელთა ნაკლებობა ძლიერ გვიშლის ხელს მუშაობაში. სხვა მხრივ მუშაობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

სამხკორი ვ. ღ.

## 1905 წ. რევოლიუციის 20 წ. თავი.

**2 ე არტლეგიონი.**

1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავი ზემოღხსენებული ნაწილში ჩატარდა ღირსეულად. ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე დღესასწაულის დაწყებამდე წითელ არმიელები შეუდექით მომზადებას ამ დღისათვის. ყოველ სადამოობით ჩვენთან ტარდებოდა საუბრები 1905 წლის რევოლიუციაზე, რომ ამით წითელ არმიელებს დაწვრილებით შეესწავლად ამ წლის სისხლიანი დღეები და რევოლიუციის დამარცხების მიზეზები. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა ლენინის კუთხეში. ამ დღისთვის გაკრულ იქნა კედლებზე შესაფერი პლაკატები. ყაზარმას ერთგვარი საზეიმო სახე ჰქონდა. სადამოს მეცადინეობის შემდეგ მთელი ნაწილი მოწყობილი წყობით ჩვენს ახლო მდებარე ტყვერესტის კლუბში, სადაც იყო გამართული საზეიმო კრება. მიუხედავათ იმისა, რომ წითელ არმიელებმა ასე თუ ისე იცოდნენ 1905 წლის ამბები, ისინი დიდი ყურადღებით ისმენდენ ორატორების სიტყვებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე ძველი მუშების პირად-მოგონებებმა 1905 წლის რევოლიუციიდან. კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ძალებიდან შემდგარი გუნდის მიერ. ამ დღით დიდი კმაყოფილი დარჩენ წითელ არმიელები და დამსწრე მუშები.

კ. გაბუნია.

## ამხ. ამხ. ორაგველიძის და თოდრიას მოხსენება 1905 წ. რევოლიუციაზე.

**პირველი ლეგიონი.**

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში, ლეგიონში შესდგა ყველა ასეულების ლენკუთხეების გამგეთა კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა ვრცელი მოხსენება 1905 წლის რევოლიუციის შესახებ. მომხსენებლები იყვნენ ამხ. ამხ. ორაგველიძე და თოდრია. აღნიშნული მოძრაობის მიზეზებისა და მისი შედეგების გაშუქებასთან ერთად, კრებამ მოისმინა აგრეთვე ზოგიერთი პირად მოგონებები, რომლებმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა ამხანაგებს მოხსენებისათვის და იმედი გამოსთქვა, რომ ამხანაგები ხშირად ეწვევიან მათ მსგავსი მოხსენებებით.

დასასრულ კრებამ აირჩია კუთხეებისათვის მორიგე გამგეები.

ახალწვეული ილ. ბარამიძე.

## ხშირად ასეთი ექსკურსიები.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

ლეგიონის პირველი და მეორე ესკადრონები წაგვიყვანეს როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხნის დასათვალიერებლად. მისვლისთანავე დაგვყვეს ჯგუფებათ და ადგილობრივი მუშების ხელმძღვანელობით შეგვიყვანეს ქარხანაში.

აქ დაწვრილებით აგვიხსნეს თამბაქოს დამზადების წესი: მისი დაჭრა, გაშრობა, დაწყობა, გახვევა და მრავალი სხვა. გვიჩვენეს აგრეთვე სხვა და სხვა ქვეყნებიდან მოტანილ თამბაქოს ნიმუშები.

მუშა ქალებმა კი დაწვრილებით აგვიხსნეს და თვალნათლივ გვაყურებიეს თამბაქოს შეხვევასა და კოლოფებში ჩაწყობაზე, თან გვაცნობდენ თითეული მანქანის დანიშნულებასა და მათი მოხმარების წესებს.

ექსკურსიამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე. ექსკურსიაში მონაწილე არმიელები ამის გამო დიდ მადლობას უცხადებენ მის მომწყობს და იმ ქარხნის მუშებს, რომლებმაც ასე გულთბილად მიგვიღეს, ყველაფერზე შესაფერ ახსნა განმარტებებს იძლეოდენ.

კარგი იქნება ხშირად მოგვიწყობდნენ ამხანაგები ასეთ ექსკურსიებს.

სამხკორი

პ. ნადარეიშვილი.

## მეტი ასეთი სურათები.

**პირველი ლეგიონი.**

30 დეკემბერს ლეგიონის კლუბში ნაჩვენები იქნა წითელ არმიელებისთვის ქართული კინო სურათი „ტარიელ მკლავაძე“, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა განსაკუთრებით ახლად მოსულ წითელ არმიელებზე. სურათის შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაძლიერდა იმით, რომ თითეული აქტის დასაწყისში, კლუბში მომუშავე ამხანაგი დაწვრილებით აცნობდა აუდიტორიას შინაარსს და იმ გმირების აღზრდის პირობებსა და ცხოვრებას, რომლებიც გამოყვანილი ჰყავს უკვდავ ბელეტრისტს ე. ნინოშვილს თავის მოთხრობაში.

საერთოდ სურათს დიდი ინტერესით შეეგებენ ჩვენი წითელ არმიელები და კარგი იქნება ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებიდან გადაღებულ სურათებს ხშირად გვიჩვენებდენ ლეგიონში.

სამხკორი გ. ფილია.

## არც ჩვენ გვძინავს.

**მე-6 ტერ-ლეგიონის მე-8 ასეული.**

წასული წლის 13 დეკემბერს შესდგა მე-8 ასეულის ა. ლ. კ. კავშირის ღია კრება. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. წვევამდელების წინასწარი მომზადება, 2. საბჭოთა არჩევნები და 3. სარედ-კოლეგიის არჩევის შესახებ.

პირველი საკითხის ირგვლივ მოხსენებას აკეთებს ამხ. შონია, რომელიც აღნიშნავს წვევამდელების წინასწარ მზადების მნიშვნელობას. მოხსენების შემდეგ ამ საკითხის შესახებ იქმნა გამოტანილი შემდეგი დადგენილება:

მოვისმინეთ, რა მოხსენება ამხ. შონიასი წვევამდელთა წინასწარ მზადების მნიშვნელობის შესახებ, ჩვენ როგორც ა. ლ. კ. კავშირის წევრები, ისე უპარტიო ამხანაგები მზათ ვართ ხელი შეუწყოთ ჩვენს უფ. პოლიტ-შემადგენლობას მზადების ნაყოფიერად დამთავრებისათვის.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რამაზაშვილი, რომელიც აღნიშნავს საბჭოების ხელახალი არჩევნების მოახლოებას და როგორი მონაწილეობა უნდა მივიღოთ ჩვენ მასში. მეორე საკითხის შესახებაც იქმნა გამოტანილი დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ კრება ხელს შეუწყობს სათანადო ორგანოებს მომავალ საბჭოთა არჩევნების გატარებაში და არ მივცემთ საშუალებას საბჭოში გაიჭრნენ არა სასურველი-ელემენტები.

კედ. გაზ. სარედ-კოლეგიაში არჩეულ იქმნა შემდეგი ამხ.-ები; სვანიძე, ქიქოშვილი, თათრიშვილი და კასალშვილი რომლებსაც დაევალათ 20 დეკემბრისათვის კედლის გაზეთის გამოშვება, სადაც გაშუქებულ უნდა იქმნას ჩვენი წერტის ყოფა-ცხოვრება.

სარედ-კოლეგია არჩევის დღიდან შეუდგა თავის მოვალეობას. ემზადებიან რათა ახლო მომავალში იქნეს გამოშვებული კედლის გაზეთი შემდეგი სათაურით „წვევამდელთა ხმა“.

ვ. სვანიძე.

## წვევამდე მზადების წერტებზე.

## ჩვენც ვიდღესასწაულეთ.

**წინანდალის საარტილერიო წერტი.**

25 დეკემბერს წერტზედ მოწვეული იქნა საზეიმო სხდომა 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის აღსანიშნავათ. მომხსენებლებმა ფართოდ გააცნეს დამსწრეთ 1905 წლის რევოლიუცია და მისი დამარცხების მიზეზები.

ამ დღესასწაულის აღსანიშნავად წერტზე გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთი „ქვემეხის ხმა“. წვევამდელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ამ გაზეთმა თავისი შინაარსით და კარიკატურებით. გაზეთი კარგად იყო ნახატი ფერადი კრასკებით.

სამხკორი დაჩანიძე.

## ფშავლის წერტის ცხოვრებიდან.

ჩვენი ასეულის მთელი შემადგენლობა წერტზე წასვლისთანავე შეუდგა ენერგიულ მუშაობას და მთელი მათი ყურადღება მიქცეულ იქნა წერტის და მისი მუშაობის ჩამოყალიბებისაკენ. წერტზე ჩამოყალიბებულ იქნა ა. ლ. კ. კავშირის კოლექტივი, რომელიც სისტემატიურად ახდენს კრებებს და არჩევენ საჭირბოროტო საკითხებს. ყველა ა. ლ. კ. კავშირის წევრებზედ განაწილებულია დავალებანი, რომელიც სრულდება უყოყმანოთ.

მთელი ასეულის შემადგენლობის მონაწილეობით დაარსებულ იქმნა ლენ-კუთხე, რომელიც მორთულ იქნა სათანადო ლოზუნგებით, პლაკატებით და რევოლიუციონური ბელადების სურათებით.

ლენ-კუთხეში სწარმოებს ხმამაღალი კითხვა წიგნების და გაზეთების. ჩვენ შევძელით ჩამოგვეყალიბებინა შემდეგი ბირთვები: პოლიტ-სამხედრო, მომღერალთა, მკითხველთა, ტეხნიკური და ცნობათა ბირთვები, რომლების მეცადინეობაც სწარმოებს თავისუფალ საათებში და არჩევენ მუშაობის გეგმებს. გარდა ამისა, რომ უფრო გაღრმავებულიყო მუშაობა, დაარსდა წრეები, რომლის მეცადინეობაც მიმდინარეობს სისტემატიურად. ასეთი წრეებია შემდეგი; სამხედრო, საერთო გამანათლებელი და სკოლის გარეშე მუშაობის. ყველა ზემო ჩამოთვლილ ბირთვები და წრეები აწარმოებენ მუშაობას ფართო მასაში.

გარდა ამ მუშაობისა ჩვენთან სწარმოებს მასიური მუშაობაც თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა სუსტად. მიზეზი ამ სისუსტისა არის ადგილობრივ ორგანიზაციასთან კლუბის უქონლობა, მაგრამ ეს ნაკლი თანდათან სწორდება და იმედია მომავალში გამოსწორდება.

ამას წინად სამხედრო წრემ მოაწყო გასამართლება წვევამდელ დეზერტირის. გასამართლებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წვევამდელებზე. მომავალში განზრახულია ლენ-კუთხის საერთო აქტივის საშვალებით მოეწყოს კომპანიური სადამო ინსცენიროვკით, აუქციონი და კითხვა-პასუხის საათი.

მ. ახალკაცი.

## საღამო წარმოდგენა ჩვენთან.

გურჯაანის წერტი.

გურჯაანის წერტის წვევამდელებმა 17 დეკემბერს მოვაწყვეთ მეთაურების დახმარებით უფასო საღამო—წარმოდგენა. წარმოდგენაზე დაესწრო ჩვენი წერტის წვევამდელები და აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებლები.

დამსწრეებში საღამო-წარმოდგენამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

წერტზე 15 დეკემბერს მოეწყო პოლიტიკური ვიქტორინაც. წვევამდელებმა, რომლებიც პოლიტიკურ შეკითხვებზე კარგათ უპასუხეს, მიიღეს სხვადასხვა საჩუქრები. ვინც ვერ უპასუხა გულდაწყვეტილები დარჩენ, მაგრამ მეთაურებმა გული გაუკეთეს: „თქვენც კარგად ისწავლეთ და მომავალში კიდევ მოვაწყობთ და საჩუქრებს თქვენც მიიღებთო“.—

ეხლა ყველა ცდილობს კარგათ შეისწავლოს, როგორც პოლიტიკური აგრეთვე სამხედრო საქმე.

წვევამდელი.

## წვევამდელთა მეცადინეობა.

ქარელის წერტი.

მიუხედავათ იმისა რომ არ ვქონდა მოცემული სათანადო ბინა, ჩვენ მაინც შევძელით მეცადინეობის დაწყება პირველ დეკემბრიდან.

წერტზე მეცადინეობის დაწყების პირველ დღესვე გამოცხადდენ ყველა ის ახალგაზრდები, ვინც იყვნენ აყვანილი აღრიცხვაზე. ჩვენ უკვე მოვაწყვეთ ლენინისა და სამხედრო კუთხეები. მოგვდის გაზეთები სისტემატიურათ; „წითელ არმიელი“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მუშა“.

წვევამდელებთან დასვენების დროს ვაწარმოებთ ხმამაღლა გაზეთისა და პოლიტიკური ხასიათის სხვა და სხვა წიგნების კითხვას.

ამ დრო კავშირი გვაქვს ადგილობრივ აღმასკომთან, რომელიც დახმარებას გვიწევს შეძლებისდაგვარად.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელმაც ცოტათი შეაფერხა მუშაობა წერტზე. ეს ის არის, რომ 14 დეკემბერს იქნა მოწერილი ჩვენს წერტზე რუსის თემის წვევამდელები, რიცხვით ორმოცდა სამი კაცი.

ჩვენ გვიხდება მათთან მეცადინეობის დაწყება თავიდან, რომელიც ძლიერ აფერხებს საერთო მუშაობას.

კ. თეთრიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით ნება მოგვცეთ მადლობა გამოუცხადოთ 2-რე ქართ. დივიზ. პოლიტგანყოფილებას, რომელმაც არ დაგვივიწყა და გამოგვიწერა გაზ. „წითელი არმიელი“, რითაც საშვალება გვეძლევა ჩვენი ჯარის რიგებს მოცილებულებმა თვალყური ვადევნოთ მის ყოფა-ცხოვრებასა და მიღწევებს.

გაზ. „წითელ არმიელი“ ძვირფასია ჩვენთვის მეტადრე ამ ჟამად, როდესაც ამ ახლო მომავალში კვლავ მოგვიხდება დავუბრუნდეთ ჩვენს რიგებს და განვაგრძოთ ჩვენი ლაშქრის საკეთილდღეოდ მუშაობა მისი გაჯანსაღებისათვის.

ლენინგრადის სამხედრო ვეტერინარული სკოლის ქართველი კურსანტები დიდათ ვაფასებთ პოლიტგანყოფილების ასეთ ყურადღებას და ფიცს ვსდებთ, მთელი ჩვენი ენერგიით განვაგრძოთ მეცადინეობა, რომ უკან დაბრუნების შემდეგ მეტი ნაყოფიერებით ვაწარმოვოთ ჩვენი საქმე.

კურსანტების მონდობილობით კ. ჭანტურია.

## ახალი ამბები.

— დღეს დასვენების დღეა. შრ. კომისარიატის დადგენილებით 6 იანვარი გამოცხადებულია განსაკუთრებულ დასასვენებელ დღეთ.

— მტკვრის ნაპირების გამაგრება ტფილისის ფარგლებში უკვე დამთავრდა.

— სოფლის ფ.-ტელეგრაფის დაწესებულებათა გამგეების მოსამზადებლად ფ.-ტ. კომისარიატი ხსნის 4 თვიან კურსებს.

— ტრაქტორები. ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის საზღვარგარეთიდან მიიღეს 60 ტრაქტორი.

— ავტობუსები. ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ახლო ხანში ამერიკიდან მიიღებს ავტობუსებს.

— ტრამვაის სამმართველოს სასახლის ქუჩაზე გაყავს ტრამვაის მეორე ხაზი.

— გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა. ბათომში ახლო ხანში ამუშავდება გრეხილ ავეჯეულობის ქარხანა.

— სიმინდის დამზადება. ცეკავშირი დასავლეთ საქართველოში ამზადებს 900 ათას ფუთ სიმინდს.

— აბრეშუმის მოსავალი. 1925 წელში მთელ საქართველოში მოვიდა 237 ათასი ფ. ნედლი აბრეშუმის პარკი.

## ვინ იქნება შემდეგი?

1-ლ ლეგიონის მე-4 ასეული ვიწერთ გაზეთ წითელ არმიელს და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს:

1 ქარ. მსრ. დივიზიის მე-2 და მე-3 ლეგიონის მე-4 ასეულებს და მე-2 და მე-3 ლეგიონის მე-2 ათასეულების უფპოლიტშემადგენლობას.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

ჩვენ მე-6 ტერ-ლეგიონის მე-8 ასეულის ფშავლის წერტის ა. ლ. კ. კავშირის წვევამდელები ვიწერთ ერთი თვით გაზ. „წითელ არმიელ“-ს და ვიწვევთ შემდეგ წერტის ა. ლ. კ. კავშირის წვევამდელებს: თელავის, ენისელის და იყალთოსას.

კრების დავალებით ვ. სვანიძე.

ვიწერ გაზეთ წითელარმიელს ერთი თვით ორ ცალს და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს მე-4 ლეგიონიდან:

1) ოც. მეთ. ვარდოშოვს, 2) ას. მეთ. ქინქლაძეს, 3) ათასეულ. მეთ. ბოსიკაშვილს, 4) კავთისხევის წერტის უფროსს გორგაზიანს. 5) ხორავას. 6) ხიტირიას, 7) აკოფოვს, 8) ას. მეთ. აბაშიძეს, 9) თავაძეს, 10) ფირცხალავას, 11) ნარსიას, 12) სამადბეკოვს, 13) ას. მეთ. თუთბერიძეს და 14) კ. ლოლაძეს ას. მეთ.

მე-3 ლეგიონიდან: 15) გ. მანაგაძეს და 16) ბასილიას.

მე-5-თე ლეგიონიდან: 17) ჭავჭანიძეს, 18) კუჭავა გალაქტიონ, 19) გაბისონიას, 20) ბუსკაძე ძიხეილს, 21) ქათამაძეს, 22) ტაბიძე ევგენის, 23) გ. ჩაგანავას, 24) შ. ჯლარკავას და 25) პოლ. ხელს ბალათურიას.

ოც. მეთაური კუპრაშვილი

## პასუხი შეკითხვებზე.

დ. რუხაძეს. უფროსი პოლიტხელები დაკმაყოფილდებიან გასამრჯელოთი სწავლების ჩატარებისთვის ისე, როგორც მეთაურები, თუ ისინი გაწვეული არიან სწავლების ჩასატარებლად თავისი მუდმივი სამსახურის ადგილიდან სხვა წერტზე.

ბაძვერაშვილს. უნდა მიმართოდ სატყეო განყოფილებას. ხე-ტყის მასალა უნდა მოგეცეთ, როგორც წ. არ. 25 75 პროც. დაკლებით, უკიდურეს შემთხვევაში უფასოდაც. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ, 1924 წ.)

კ. მიმინოშვილს. სამსახური გეთვლებათ იმ დღიდან, როცა თქვენ ნაწილში ჩაგრიცხეს.

კ. ბერიძეს. ახალი ჯამაგირების განაკვეთი უმცროს მეთაურებზე არ ვრცელდება, ვინაიდან თქვენ ოქტომბერში მოგიმატეს ჯამაგირები.

ვ. ნოზაძეს. პარტსკოლაში შესვლა შეიძლება აგვისტოდან. მიმართეთ თქვენს სამხკომს.

ზარიძეს მაზარას აქვს ორი წლის ტარების ვადა. ტანისამოსი გეძლევათ.

ზ. მისკევიჩს. იძულებით ვისიმე სახლიდან გამოსახლება გარეშე კანონში აღნიშნულ მიზეზებისა არ შეიძლება. ასეთ მიზეზებს თქვენს შეკითხვაში ვერ ვხედავთ, ამიტომ სახლის პატრონს თქვენი გამოსახლება არ შეუძლია.

ი. მ—ძეს. შეგიძლიათ შეაკეთოთ ბინა და დახარჯული თანხა სახლის პატრონს გამოუქვითოთ.

გ. ს—იას. სახ. სასამართლოს დადგენილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ საოლქო სასამართლოში ორი კვირის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა.

მ. კახიძეს. მიმართეთ საქნეთ ნაწილის უფროსს საკითხის გამოსარკვევად.

ჭანტურიას. თუ ტარების ვადა გაუთავდა ტანისამოსს, გეკუთვნით.

ნიკოლაიშვილს. მიმართეთ სამნეთ ნაწილის უფროსს მიზეზის გამოსარკვევად.

სურგულაძეს. გაგვაგებიეთ რომელი კატეგორიით დებულობთ ჯამაგირს, შემდეგ შეგვეძლება გიპასუხოთ თქვენს შეკითხვაზე.

ჟ. დ—ლს. საქ. გასაბჭოებამდე არსებულ ვალდებულებანი გაუქმებულია საქ. ცაკის დადგენილების № 51 მუხლი მე-2 ძალით. ფულის აღება არ შეგიძლიათ.

შილაკაძეს. უნდა მიმართოდ პარტორგანიზაციას.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-3 ასეულის მე-5-ე ლეგ. 2-რე კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ ამხ. გელენიძე ბაგრატ ემილეს ძეს.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ ზემო აღნიშნული ამხანაგის მიღების შესახებ პარტიაში, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

კომუჯრედის მდ. ვ. ალავიძე.

1-ლ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ლაზარტყავა ოლიფანტე ზოზიმესძეს (სენაკის მაზრის მცხოვრები ბანძის რაიონი სოფელ სეფიეტაში. ა. ლ. კ. კ. წევრია). იაკობ ანდრიას ძე კაკაბაძე ქუთაისის მაზრის სოფელ კუბელის მცხოვრები.

კომუჯრედი სთხოვს ყველას თუ ვინმემ რაიმე იცის ზემო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ უარყოფილი გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში—მხოლოთ სათანადო საბუთებით.

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ცარციძეს** (2-რე ლეგიონი) თქვენი კორესპონდენცია 1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავის შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ხარჩიევს** (2-რე ლეგ.) თქვენი წერილი „2-რე ლეგ. 8 ვე ასეულის ცხოვრებიდან“ არ გამოდგა. მოიწერეთ გარკვევით და აღნიშნეთ ფაქტები მუშაობის შესახებ. თქვენი მეორე წერილი „ესეც პარიკმახერია“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. ილ. პატაშურს** (2 რე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია საგარნიზონო საყარაულოს შესახებ, არ დაიბეჭდება. ამაზე აღინიშნა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ამხანაგს.** (6-რე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია სკოლის შესახებ გადაეცა პოლიტგანყოფილების უფროსს.

**ამხ. აზიკუსოვს** (2-რე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ჩვენი ცხოვრებიდან“ გადაეგზავნა ნაწილის უფროსს შესაფერი ზომების მისაღებად.

**ამხ. ამხ. ლობილაძეს. კვეზერელს და არტ. ტოროშელიძეს.** თქვენი ლექსები: „ძველი ქარხნის მუშის წუხილი“ „მოწმენდილმა ცამ კვლავ მეილუშა“, „ლექსი“, „მე გამოვთქვამ კარგ ლექსა“ და „ჩემი მდაბიო ენით გამოვსთქვამ“ არ გამოდგენ. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**1-ლ ქ. მ. დივიზიის მეხუთე პარტ-კონფერენცია** გაიხსნება ქალ. ქუთაისში 1926 წლის 17 იანვარს საღამოს 5 საათზე, ქუთაისის აკადემიურ თეატრის შენობაში შემდეგი დღის წესრიგით:

1. მე-14 ტე ყრილობის შედეგები.
2. პოლიტ-სამმართველოს მოხსენება.
3. პოლიტ-განყოფილების მოხსენება.
4. დივ-პარტ. კომისიის მოხსენება.
5. პარტ-აღმშენებლობის საკითხი.
   თანამოხსენება ახ. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ.
6. სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.
7. სამხედრო აღმშენებლობის ამოცანები.
8. არჩევნები დივ. პარტ. კომისიისა და დელეგატებისა საარმიო კონფერენციაზე.

ყოველგვარი დამატებითი ცნობებისათვის უნდა მიმართონ 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილების საორგანიზაციო კომისიას.

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის
პოლიტ-განყოფილება.


## რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


**დაიკარგა** პირადი წიგნაკი მიღებული მაზრისმილიციის სამხედრო მაგიდან № 16, ყოფ. წითელი არმიელი 1900 წელში დაბადებულის ალალოს ძე მურალოვის სახელობაზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.